ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის,

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ლია ჯახველაძის

2017 წლის ანგარიში

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომიიის მიერ გაწეული მუშაობის შეჯამება;
- ლია ჯახველაძის მიერ სამაჟორიტარო ოლქში გაწეული მუშაობის შეჯამება;

# სახელდებისა და სიმბოლიკის კომიის მიერ გაწეული მუშაობის შეჯამება;

2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვის ჩათვლით ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 10 სხდომა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის ინიციატივის საფუძველზე საკრებულოს მიერ გამოიცა 126 სამართლებრივი აქტი.

1. ინფორმაცია კომისიის სხდომებზე განხილული საკითხების შესახებ;
2. ინფორმაცია კომისიის რეკომენდაციების და ინიციატივების საფუძველზე საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესახებ;
3. ინფორმაცია კომისიაში შემოსული და გასული კორესპონდენციების შესახებ;
4. ინფორმაცია მოქალაქეთა მიღების შესახებ;
5. ინფორმაცია ტერიტორიების დათვალიერების შესახებ;
6. ინფორმაცია მისამართის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის სამუშაოების მონიტორინგის და კომისიის ჩართულობის შესახებ;

1. ინფორმაცია კომისიის სხდომებზე განხილული საკითხების შესახებ;

როგორც აღინიშნა 2017 წლის იანვრიდან ნოემბრის თვემდე ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 10 სხდომა, კომისიის მიერ ხსენებული პერიოდის განმავლობაში ინდივიდუალურ რეჟიმში განსახილველი განცხადებების გარდა განხილული იქნა 129 ინიციატივის პროექტი სახელდების თაობაზე

1. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ნინო ჟვანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ორი გასასვლელისთვის რეჟისორი ნუცა ღოღობერიძის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. წავკისში ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნისთვის წავკისის ველის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. კიკეთში გალაკტიონ ტაბიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის მთარგმნელი, მწერალი ნიკო დადიანის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ფარნავაზ მეფის გამზირისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის კათოლიკოს აბრაჰამ I სახელის მინიჭების შესახებ
5. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩასთნ არსებული უსახელო სკვერისთვის პოეტი ლადო ასათიანის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ევგენი ღვალაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის 1937 წელს რეპრესირებული ვერა ვარაზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
7. 7.ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, კულა გლდანელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნასერალის ქედის სახელის მინიჭების შესახებ
8. 8.ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლეო კვაჭაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ოთარ ქინქლაძის ქუჩისთვის მწერალი, საზოგადო მოღვაწე იაკობ მანსვეტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ლიახვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასვლელისთვის პოეტი ნიკოლო მიწიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

11. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაქარია მაისურაძის ქუჩის მონაკვეთისთვის, ვასილ გულისაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის პათანატომი ვლადიმერ ჟღენტის სახელის მინიჭების შესახებ.
12. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ნიკო ფიროსმანის სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გიორგი გეხტმანის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელებისთვის გიორგი გეხტმანის სახელის მინიჭების შესახებ.

14. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა იოთამ ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ელენე ვირსალაძის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის ელენე ვირსალაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.
16. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ექიმების ქუჩისთვის და მასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის პოეტი, ბელეტრისტი საფო მგელაძის სახელის მინიჭების შესახებ.
17. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მხატვარი კლარა კვესის სახელის მინიჭების შესახებ.
18. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, სადგურის მოედანთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ქირურგი თამაზ თოხაძის სახელის მინიჭების შესახებ.
19. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, მარცხენა სანაპიროს უსახელო მონაკვეთისთვის ლევილის სახელის მინიჭების შესახებ.
20. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მეტროსადგურ შოთა რუსთაველის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ფარმაცევტი ევგენი ზემელის სახელის მინიჭების შესახებ.
21. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული სამი გასასვლელისთვის და ჩიხისთვის საბავშვო მწერალი ქეთევან ჭილაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
22. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, დიღმის მასივის III კვარტალში მდებარე უსახელო სკვერისთვის ქართული ნაციონალური ბალეტის მოცეკვავე ჯემალ ნავროზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
23. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ირაკლი უჩანეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის კალათბურთელი მიხეილ ქორქიას სახელის მინიჭების შესახებ.
24. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ზაქარია ჯორჯაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის არქიმანდრიტი ილია კარტოზიას სახელის მინიჭების შესახებ.
25. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ნადიკვრის II დასახლების ქუჩისთვის, მასთან არსებული უსახელო ჩიხებისთვის, შესახვევისთვის და გასასვლელისთვის მწერალი, პუბლიცისტი ნოდარ ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ.

26. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბერძნის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ოთხი ჩიხისთვის ხელოვნების ისტორიკოსი რუსუდან მეფისაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
27. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ბერძნის ქუჩის მონაკვეთისთვის მწერალი, დრამატურგი ნუგზარ შატაიძის სახელის მინიჭების შესახებ.
28. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის მონაკვეთისთვის ცნობილი ემიგრანტი, საზოგადო მოღვაწე პეტრე ხვედელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
29. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზურაბ ავალიშვილის ქუჩასთან მდებარე საჩოგბურთო კომპლექსისთვის ჩოგბურთელი ალექსანდრე მეტრეველის სახელის მინიჭების შესახებ.
30. ვაკის რაიონში, თენგიზ აბულაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის დიპლომატი ლევან მიქელაძის სახელის მინიჭების შესახებ.
31. ვაკის რაიონში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩასთან მდებარე ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის კინორეჟისორი თენგიზ აბულაძის სახელის მინიჭების შესახებ.
32. საბურთალოს რაიონში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი შესახვევისთვის და ჩიხისთვის კომპოზიტორი ალექსანდრე ბასილაიას სახელის მინიჭების შესახებ.
33. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში სანდრო ეულის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელის მინიჭების შესახებ.
34. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩისთვის მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
35. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, შოთა გამცემლიძის ქუჩის შესახვევისთვის მწერლის, ექიმ შალვა მჭედლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
36. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის II ქუჩისთვის აკადემიკოსის, რევმატოლოგ ვლადიმერ წითლანაძის სახელის მინიჭების შესახებ.
37. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ძველი ვეძისის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის, მათთან არსებული შესახვევებისთვის, ჩიხებისთვის და გასასვლელისთვის სახელის მინიჭების შესახებ (ძველი ვეძისის, ნენავის და მთის კალთის).
38. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გივი კვიჭიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის საბავშვო მწერლის კუკური გოგიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
39. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, თემურ სამხარაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის თემურ სამხარაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
40. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე წულუკიძის ქუჩის II შესახვევისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის პოეტის ოსიპ მანდელშტამის სახელის მინიჭების შესახებ.
41. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძართან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ზეთისხილის სახელის მინიჭების შესახებ.
42. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის დასახლებაში უსახელო ქუჩებისთვის მათთან არსებული შესახვევისთვის და გასასვლელისთვის სახელის მინიჭების შესახებ

(სამხედრო მფრინავის ჯიმშერ (ჯიმი) მაისურაძის და კონსტრუქტორისა და მფრინავის, ინჟინერ ლუი ბლერიოს).

43. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჭირნახულის ქუჩის II ჩიხის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ოთხი შესახვევისთვის არქეოლოგის როსტომ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
44. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო გამზირისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის სახელის მინიჭების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 მარტის №84 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.
45. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ზურაბ პატარაძის ქუჩის მონაკვეთისთვის მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ (კომისიის ინიციატივა).
46. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, კასკადის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის ენერგეტიკოსის ალექსანდრე ხეთაგურის სახელის მინიჭების შესახებ.
47. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზურაბ მირაქიშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
48. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მარკ ბრონშტეინის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ონის სახელის მინიჭების შესახებ.
49. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფ. თხინვალაში სიმონ ავალიანის ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის სიმონ ავალიანის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
50. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, მიხა ხელაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გამომცემლის ექვთიმე ხელაძის სახელის მინიჭების შესახებ.
51. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ქალაქი მარსელის სახელის მინიჭების შესახებ
52. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფ. აგარაკში მდებარე უსახელო ქუჩებისთვის და მათთან არსებული ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ (აგარაკის და შუა მინდვრის).
53. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის ცისარტყელას სახელის მინიჭების შესახებ
54. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ხიზაბავრის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის და ორი უსახელო ჩიხისთვის ხიზაბავრის სახელის მინიჭების შესახებ
55. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ინგუშეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ინგუშეთის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
56. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლიხაურის ქუჩის შესახვევისთვის მწერლისა და დრამატურგის კიტა ბუაჩიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
57. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურეკის და ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო სკვერისთვის მწერლის ოთარ ჭილაძის სახელის მინიჭების შესახებ
58. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, უჩა ჯაფარიძის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული ჩიხისთვის უჩა ჯაფარიძის სახელის მინიჭების შესახებ.

59. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ხეივნის I ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის ფილოლოგის, პროფესორ რევაზ სირაძის სახელის მინიჭების შესახებ
60. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ნურადინ ფრიდონის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის პაატა ჯანიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
61. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. შინდისში, იოსებ მანსვეტაშვილის ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის სახელის მინიჭების შესახებ (ფაზისი, კოლხეთი)
62. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფელ წავკისში ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის I შესახვევისთვის ალექსანდრე ჭავჭავაძის I გასასვლელის და II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
63. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში ავთო ვარაზის ქუჩის გაგრძელების შესახებ
64. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის პაატა დათუაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
65. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩის I ჩიხის გაგრძელების შესახებ
66. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, დავით ჯაბიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გერმანელი დიპლომატის გრაფ შულენბურგის სახელის მინიჭების შესახებ
67. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ნიკიფორე ირბახის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პედაგოგის გრიგოლ კობახიძის სახელის მინიჭების შესახებ
68. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ნიკიფორე ირბახის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის პედაგოგის გრიგოლ კობახიძის სახელის მინიჭების შესახებ
69. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, სერგი წულაძის, სახალხოს და სოლომონ დოდაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე უსახელო მოედნისთვის პატარა კახის სახელის მინიჭების შესახებ
70. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის III შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
71. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, საფო მგელაძის ქუჩის გაგრძელების და მასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის საფო მგელაძის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
72. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სოფ. ტაბახმელაში უსახელო ქუჩებისთვის მუხრან-თელეთის, აგარანის და წალასყურის სახელის მინიჭების შესახებ
73. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში მშვიდობის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომის მონაწილე ბესიკ ბელთაძის სახელის მინიჭების შესახებ
74. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, დაბაკნეთის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის აფხაზეთის ომში მებრძოლი კაპიტნების ვახტანგ და ამირან კაპანაძეების სახელის მინიჭების შესახებ
75. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალაში მარნეულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სოღანლუღის სახელის მინიჭების შესახებ
76. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მარიამ ივანიშვილი-დემურიას ქუჩასთნ მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარიამ ივანიშვილი-დემურიას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

77. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
78. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, გელა ჭედიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ორი ჩიხისთვის და ერთი შესახვევისთვის ფოლკლორისტის ედიშერ გარაყანიძის სახელის მინიჭების შესახებ
79. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირის ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის ფერმწერის გიგო გაბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
80. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში და საბურთალოს რაიონში, გიგო გაბაშვილის ქუჩისთვის და მიხეილ თამარაშვილის ქუჩისთვის მიხეილ თამარაშვილის გამზირის მინიჭების შესახებ
81. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში კონსტანტინე კაპანელის ქუჩასთან მდებარე ქუჩისთვის ხომლის სახელის მინიჭების შესახებ
82. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ეკატერინე ფორაქიშვილი-სარაჯიშვილის ქუჩის გაგრძელების შესახებ
83. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ვარკეთილის სახელის მინიჭების შესახებ
84. ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, ფონიჭალის დასახლებაში, სპირიდონ ვირსალაძის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის სპირიდონ ვირსალაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
85. ქ.თბილისში, მთაწმინდისა და კრწანისის რაიონში კრწანისი-შინდისის დამაკავშირებელი უსახელო ქუჩისთვის თაბორის მთის სახელის მინიჭების შესახებ
86. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჯავახეთის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის რიგის სახელის მინიჭების შესახებ
87. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის ფერმწერთა ქუჩის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
88. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, გიორგი ციციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მუსიკოსის გია ხეოშვილის სახელის მინიჭების შესახებ
89. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში საირმის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩისთვის ქირურგის, ექიმ გურამ ტატიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
90. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის, პროფესორ ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ
91. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მონასტრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული გასასლელისთვის სამხედრო ისტორიკოსის, პროფესორ ელვერ კუპატაძის სახელის მინიჭების შესახებ
92. ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რეხის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი შესახვევისთვის მხატვრის გაიანე ხაჩატურიანის სახელის მინიჭების შესახებ
93. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სპორტული მოედნისთვის ფეხბურთელის დავით პეტრიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

94. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის ბობ უოლშის სახელის მინიჭების შესახებ
95. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩისთვის გიული ჭოხონელიძის სახელის ახალი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად მინიჭების შესახებ (სასამართლოს გადაწყვეტილება)
96. ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, გიული ჭოხონელიძის ქუჩასთან არსებული ჩიხისთვის გიული ჭოხონელიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
97. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, მერაბ კოსტავას ქუჩის შესახვევისთვის და მასთან არსებული I ჩიხისთვის მხატვრის ფარნაოზ ლაპიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
98. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, მცხეთის ქუჩის II შესახვევისთვის და მცხეთის გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის კოკა კლდიაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
99. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, კოკა კლდიაშვილის ქუჩისთვის ილია ჭავჭავაძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
100. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ხელბურთელის ამბერკი ტაბიძის სახელის მინიჭების შესახებ
101. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ე.წ. ქოშიგორას დასახლებაში, უდაბნოს მონასტრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოსოფოსის, პროფესორ ნიკო ჭავჭავაძის სახელის მინიჭების შესახებ
102. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, წინუბანში, ბეჩოს ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტის ნოდარ კვიციანის სახელის მინიჭების შესახებ
103. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფ. თხინვალაში, თხინვალას ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის თხინვალას I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ
104. ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მიმდებარე ტერიტორიასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ლევან ფირცხელიანის სახელის მინიჭების შესახებ
105. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე ოთხი უსახელო გასასვლელისთვის და ორი უსახელო ჩიხისთვის ივერი ფრანგიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
106. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გიორგი მაჩაბლის ქუჩის გაგრძელების შესახებ
107. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის ქინძმარაულის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
108. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, იგოთის ქუჩის გაგრძელებისა და მასთან არსებული ჩიხებისთვის იგოთის სახელის მინიჭების შესახებ
109. ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, სულთნიშნის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის დიპლომატის ალექსანდრე ჩიკვაიძის სახელის მინიჭების შესახებ
110. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის II მ/რაიონში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფოტოგრაფის ალექსანდრე როინაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
111. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, მელაანის ქუჩის III და IV შესახვევებისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის თამაზ პაპიაშვილის ქუჩის სახელის და მასთან არსებული

გასასვლელებისთვის თამაზ პაპიაშვილის I და II გასავლელების სახელის მინიჭების შესახებ

112. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, თეთრიწყაროს შესახვევისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გია ბაქარაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
113. ქ.თბილისში, ისნის რაიონში, ფოსტის ქუჩისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და შესახვევისთვის ექიმის, პროფესორ ავთანდილ კვეზერელი-კოპაძის სახელის მინიჭების შესახებ
114. ქ.თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მახინჯაურის ქუჩისთვის წმინდა მელქისედეკ I სახელის მინიჭების შესახებ
115. ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანის II მ/რაიონში მდებარე უსახელო ქუჩისთვის წმინდა ნინოს სახელის მინიჭების შესახებ
116. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, საქართველოს სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის სასროლეთთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სპორტსმენის ზურაბ მაჩხანელის სახელის მინიჭების შესახებ
117. ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, გარდაბნის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული უსახელო ქუჩებისთვის და მასთან მდებარე შესახვევებისთვის, გასასვლელებისთვის და ჩიხებისთვის სახელის მინიჭების შესახებ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 6 მაისის №103 დადგენილების" ძალადაკარგულად გამოცხადების და ქუჩებისთვის სახელების ხელახლა მინიჭების შესახებ
118. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში მამია გურიელის ქუჩის მონაკვეთისთვის კალათბურთელის დუდუ დადიანის სახელის მინიჭების შესახებ.
119. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ჰოსპიტალის ქუჩისთვის და საექიმოს ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის პოლიციის ლეიტენანტის ვლადიმერ ლობჟანიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ.
120. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფსიქოლოგის, აკადემიკოს შოთა ნადირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
121. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დელისის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ზურაბ და თეიმურაზ ზალდასტანიშვილების სახელის მინიჭების შესახებ.
122. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, რევაზ სირაძის ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის კათოლიკოს პატრიარქის ამბროსი ხელაიას სახელის მინიჭების შესახებ.
123. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მიტინგის ქუჩისთვის ეკლესიის სახელის მინიჭების შესახებ
124. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მუშათა ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის გრიგოლ ბიჩინაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
125. ქ. თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, რობერტ ბარძიმაშვილის ქუჩისთვის ფილოსოფოსის, პროფესორ მოსე გოგიბერიძის სახელის მინიჭების შესახებ
126. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, მოსე გოგიბერიძის ქუჩისთვის საქართველოს სახალხო არტისტის რობერტ ბარძიმაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

127. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის საქართველოს სახალხო არტისტის რობერტ ბარძიმაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
128. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თბილისის ზღვასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის უცნობ გმირთა სახელის მინიჭების შესახებ
129. ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, მეტროსადგურ „უნივერსიტეტთან" მდებარე უსახელო მოედნისთვის სოხუმის სახელის მინიჭების შესახებ

2. ინფორმაცია კომისიის რეკომენდაციების და ინიციატივების საფუძველზე საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესახებ;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის მიერ მომზადდა 7 სამართლებრივი დასკვნის და 129 განკარგულების პროექტი. დასკვნებში შემავალი 129 განკარგულების პროექტი ინდივიდუალურ რეჟიმში საჯარო განხილვის მიზნით გამოქვეყნდა საკრებულოს ვებ გვერდზე და აიტვირთა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში. საერთო ჯამში ხსენებული 129 პროექტიდან საკრებულოს სხდომაზე მიღებული იქნა 126 სამართლებრივი აქტი.

3. ინფორმაცია კომისიაში შემოსული და გასული კორესპონდენციების შესახებ;

2017 წლის იანვრიდან ოქტომბრის თვის ჩათვლით კომისიაში მიღებული და სათანადო წესით აღრიცხული იქნა 335 განცხადება. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 301 განცხადებაზე დასრულდა საქმისწარმოების პროცესი( მათ შორის 2016 წელს შემოსული განცხადებების ნაწილზე), ხოლო კორესპონდენციაზე დასრულდა საქმისწარმოების პროცესი. საანგარიშო

პერიოდის განმავლობაში შემოსული კორესპონდენციებიდან 120 განცხადება რეაგირების პროცესშია.

4. ინფორმაცია მოქალაქეთა მიღების შესახებ;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის წარმომადგენლების მიერ 300-ზე მეტ მოქალაქესთან მოხდა შეხვედრა და გაეწია შესაბამისი დახმარება. გარდა ამისა, კომისიის სამდივნოს მიერ ასობით მოქალაქის სატელეფონო ზარზე მოხდა რეაგირება.

5. ინფორმაცია ტერიტორიების დათვალიერების შესახებ;

კომისიის თავმჯდომარის და კომისიის სამდივნოს უფროსის მონაწილეობით 2017 წლის 10 თვის განმავლობაში ადგილზე მონახულებული იქნა ათობით ქუჩა და იქ მაცხოვრებელთა ჩართულობითა და გამოკითხვის გზით იქნა შესწავლილი რიგი საკითხები.

6. ინფორმაცია მისამართის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟის სამუშაოების მონიტორინგის და კომისიის ჩართულობის შესახებ;

როგორც ცნობილია აბრების დიზაინის კონკურსის წესით გამოვლენის პარალელურად გადაწყდა, რომ ქუჩის დასაწყისში პირველი საკადასტრო ერთეულის ფასადზე ნომრის და ქუჩის სახელის აღმნიშვნელ აბრასთან ერთად დამონტაჟებული იქნება აბრა, რომელზეც მოკლედ იქნება დატანილი ინფორმაცია იმ პირის/ტოპონიმის შესახებ ვის/რის სახელსაც ქუჩა ატარებს, კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში დამუშავდა და კეთილმოწყობის სამსახურს გადაეგზავნა ინფორმაცია 150 ზე მეტი ქუჩის სახელწოდების შესახებ.

აბრების განთავსების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სისტემურად ხორციელდება სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩების ადგილზე დათვალიერება და ხარვეზების დაფიქსირება შემდგომში შესაბამისი სამსახურისთვის მიწოდების მიზნით. კომისიის წარმომადგენლების მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა 200-მდე ქუჩის ფიზიკურად დათვალიერება.

# ლია ჯახველაძის მიერ სამაჟორიტარო ოლქში გაწეული მუშაობის შეჯამება

2017 წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე ყოველდღიურად გვქონდა მოქალაქეთა მიღება სამაჟორიტარო ოფისში და ასევე სისტემატურად ვმართავდით გასვლით შეხვედრებს ქვემო სამგორის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან. ამ დროის მანძილზე სამაჟორიტარო ოფისში მოგვმართა 1 503 მოქალაქემ, რომლებსაც გაეწიათ შესაბამისი კონსულტაციები. მოქალაქეების დახმარების მიზნით სხვადასხვა სამსახურებში გაიგზავნა მაჟორიტარის 61 წერილობითი შუამდგომლობა შემდეგ საკითხებზე:

1. ერთჯერადი ფულადი დახმარება - შუამდგომლობა გაეწია 18 მოქალაქეს და დადებითი პასუხი მივიღეთ 15 შუამდგომლობაზე.

2. ოპერაციის დაფინანსება - შუამდგომლობა გაეწია 6 მოქალაქეს და დადებითი პასუხი მივიღეთ 5 შუამდგომლობაზე.

3. მუნიციპალური ტრანსპორტი - შუამდგომლობა გაეწია 1 მოქალაქეს და გადაწყდა დადებითად.

4. მედიკამენტებით დახმარება - შუამდგომლობა გაეწია 7 მოქალაქეს და დადებითი პასუხი მივიღეთ 6 შუამდგომლობაზე.

5. დასაქმება - შუამდგომლობა გაეწია 8 მოქალაქეს და დადებითი პასუხი მივიღეთ 4 შუამდგომლობაზე.

6. კეთილმოწყობა - შუამდგომლობა გაეწია 16 მოქალაქეს და და დადებითი პასუხი მივიღეთ 7 შუამდგომლობაზე.

7. საბავშვო ბაგა ბაღი - შუამდგომლობა გაეწია 2 მოქალაქეს და გადაწყდა დადებითად.

8. შეწყალების კომისია - შუამდგომლობა გაეწია 1 მოქალაქეს.

9. დასუფთავება - შუამდგომლობა გაეწია 2 მოქალაქეს და გადაწყდა დადებითად.

დეპუტატის შუამდგომლობით ლორთქიფანიძის ქუჩაზე დაიწყო წყალარინების ახალი ქსელის მოწყობა, რომელიც დასრულდება წლის ბოლოს. ასევე ჭიჭინაძის ქუჩაზე და ჩიხებში მთლიანად შეიცვალა სასმელი წყლის მილები და მოეწყო ასფალტის საფარი.

ქვემო სამგორის რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო. ადგილობრივ გავეცანით თითოეულ მათგანში არსებულ მდგომარეობას. გავესაუბრეთ სასადილოებში რეგისტრირებულ ბენეფიციარებს მომსახურებისა და კვების ხარისხის შესახებ.

დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე ჭიჭინაძის ქ. 1-ში დაიწყო ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, რომლის პროცესებში წლის განმავლობაში აქტიურად ვიყავით ჩართული, რადგან მშენებლობას ხელს უშლიდნენ შენობაში უკანონოდ შეჭრილი სოციალურად დაუცველი ოჯახები. ჩვენი აქტიური მუშაობის შედეგია, რომ დღემდე შეუფერხებლად მიმდინარეობს საბავშვო ბაღის მშენებლობა.

პერიოდულად გვაქვს სამუშაო შეხვედრები სამგორის რაიონის გამგებელთან, ქვემო სამგორის რაიონში შესრულებული სამუშაოების ანალიზის მიზნით და არსებული პრობლემების შესახებ.

ინტენსიურად ვღებულობთ მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში და საქველმოქმედო აქციებში:

- სადღესასწაულო დღეები (ახალი წელი, აღდგომა, დედის დღე, 8 მარტი, გიორგობა, ბზობა) მივულოცეთ და საჩუქრები გადავეცით სოციალურად დაუცველ ოჯახებს.
- მივიღეთ მონაწილეობა 152-ე საჯარო სკოლაში გამართულ საქველმოქმედო ღონისძიებაში ,,ჩვენც დავბერდებით."
- 16-ე საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელ შშმ ბავშვს საჩუქრად გადავეცით ეტლი.
- საზოგადოებრივ კოლეჯ "სპექტრში" შევხვდით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს.
- მივიღეთ მონაწილეობა დასუფთავების აქციაში გარდაბნის გზატკეცილზე.
- მივიღეთ აქტიური მონაწილეობა სამგორის რაიონის გამგეობის მიერ გამართულ ღონისძიებაში ,,ჯანსაღი ცხოვრების კვირეული".
- 1 ივნისს ,,ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღესთან" დაკავშირებით რაიონში მცხოვრები ბავშვებისათვის გავმართეთ კონცერტი.
- მივიღეთ მონაწილეობა საბავშვო ბაგა-ბაღების მომსახურების სააგენტოს მიერ გამართულ კვირეულში ,,მზის ბავშვები".
- დავესწარით 128-ე საბავშვო ბაგა ბაღში გამართულ ფესტივალს ,,პატარა ხელებით".
- 86-ე, 126-ე და 128-ე საბავშვო ბაგა-ბაღებში დავესწარით გამოსაშვებ ღონისძიებებს.

- 131-ე საჯარო სკოლაში დავესწარით სამგორის რაიონის საზოგადოებრივი საბჭოს გასვლით სხდომას.
- დავესწარით 124-ე საჯარო სკოლაში გამართულ ეთნოგრაფიული სახის ღონისძიებას ,,მე მიყვარს საქართველო, ჩემი კუთხე, ჩემი სოფელი".
- დავესწარით ანსამბლ ,,ერთსულოვნების" საიუბილეო კონცერტს.

სამაჟორიტარო ოფისი ფუნქციონირებს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, სადაც მოქალაქეებს ეწევათ შესაბამისი დახმარება.